

2203

26
1865

ГРУЗИНСКІЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1865.

Я Н В А Р Ъ.



საქართველოს

სახულიერო მახარებელი.

იანვარი.

ჩუღე წ.

ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФИИ А. ЭНФИДЖИАНЦА и К-о.

ПОДПИСКА

НА

„ГРУЗ. ДУХ. ВѢСТНИКЪ“

продолжается.

Журналъ издается съ іюля 1864 года, по утвержденной Святейшимъ Синодомъ программѣ.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. яз.—1 р. с.


ხელის-მწერს უუჩნაღბედ მიიღება ტფილისის სემინარიაში, რედაქტორის სახელზედ. თასი წლის უუჩნაღბისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხუა ქუჭყენებში გაგზავნით ხუთი მანეთი; მიუტანულად და გაუგზავნულად ოთხი მან., მარტო რუსულისათჳს ერთი მანეთი.

განყოფა ამა სწავლისა.

§ 46. სწავლა განგებულებისა-თჳს ღუთისა განი-
ყოფება ორ-ნაწილად: ჰირველში განიხილვება სწავ-
ლა ქუჭუნის დ ა ც ვ ი ს ა-თ ჳ ს, ხოლო მეორეში—
სწავლა მ ა რ თ ვ ი ს ა ანუ მართველობისა მისისა-თჳს.

დაცვისა-თჳს ქუჭუნისა.

§ 47. დაცვა ქუჭუნისა არის ისრეთი მოქმედება
ღუთის განგებულებისა, რომლითაც იგი ითარავს და
ინახავს ვითარცა ბუნებასა ყოვლისა არსებისასა, გვ-
რეთცა ძალთა და მოქმედებათა მისთა.—მოქმედება ესე
მდგომარეობს მას შინა, რომ ღმერთი იცავს ყოველ-
სა ნიუთიერებასა ქუჭუნისასა დიდითგან ვიდრე მცო-
რედმდე. მაგალითებრ, იგი აღმოიყვანს ღრუბელთა და-
სასრულთ ქუჭუნისათ, და ელვათა წვიმად გარდააქ-
ცევს, გამოიყვანს ქართა საუნჯეთაგან თჳსთა, და აღ-
მოაყენებს თივასა და მწვანესა სამსახურებელად და
სასარგებლოდ კაცთა და ჰირუტეუთა, და სხუანი (ფსალმ.
134, მ. 7; 146, მ. 8. 9). გვრეთვე უფალმან იესო ქრის-



ტემან გამოგვიცხადა ჩუწნ, რომელ მამად მისი ზე-
 ციერი ზრუნავს თვთ მცირედთა მფრინველთა-თვსცა,
 და არცა ერთი მათგანი დავარდების მიწასა ზედა თვ-
 ნიერ ნებისა მისისა (მათ. თ. 10, მ. 29).—ხოლო შე-
 სახებელად კაცთა ნათესავისა განგებულება და მფარ-
 ველობა ღუთისა სხანს მისგან, რომ ღმერთი გამოი-
 უვანს კაცსა დედის მუცლით მისითგან და ზრდის მუძუ-
 თა მისითა; და ყოველსა დღესა ცხოვრებისასა უფლისა
 მიერ წარმართების სლვა კაცისა, და რაჟამს დაე-
 ცეს, არა შეიმუსროს, რამეთუ უფალი განამტკიცებს
 ხელსა მისსა (ფს. 21, მ. 10; 36, მ. 23. 24), და თმა-
 ცა თავისა მისისა არა წარწყმდების თვნიერ ღუთი-
 სს, რომელი მოსცემს მას ცხოვრებასა და სულსა
 ყოვლით კერძო (მათ. თ. 10, მ. 30; საქმე მოციქ. თ.
 17, მ. 25).

§ 48, სახე ღუთისა-მიერ ქუწენის დაცვისა და
 მფარველობისა ჩუწნთვს მნელად მისაწდომელ-არს,
 ვითარცა სახე სოფლის შექმნისა და დაფუძნებისა;
 მაგრამ განცხადებით ვიცით ჩუწნ, რომ სახე ესე არის

ორ-გვარი: ბუნებითი ანუ ჩვეულებითი და უაღრესი ბუნებისა გინა ჩვეულებრივისა წესისა.

ბუნებითი სახე დაცვისა არის იგი, რომელ ღმერთი განაგრძობს და განამტკიცებს ნებითა თვისითა მეოფობასა ქმნილებისასა მინიჭებულითა მათდა ბუნებითითა ძალითა და სჯულითა, შედამხედველობასა ქვეშე უოვლად-მხილველისა თვალისა მისისასა, რათამცა ქმნილებანი არა მიეცნენ განსრწუნასა და განქარვებასა. მაგალითებრ: ღმერთიან უბრძანა კაცთა და ცხოველთა: «აღორძნდით და განმრავლდით»—და ბრძანება ესე სრულდება ბუნებითად ვიდრე აქამომდე. ამისთვის იტყვის წერილი: «დააფუძნე, უფალო, ქუჭყანა, და ჰკიეს. ბრძანებასა შენსა ელის დღე» (ფს. 118, მ. 90. 91). სოლოვინაძეგან სახე ესე ღმერთაებრივისა დაცვისა და მოუარველობისა არის ჩვეულებრივი წესი ქუჭყენიერობისა და კაცთა ნათესავის ცხოვრებისა, ამისთვის ბევრს ადამიანს არც მიაჩნია ესე ღმერთის განკებულებად.

ბუნების უაღრესი სახე დაცვისა არის იგი, რომელ ღმერთი სძლევს წესსა ბუნებისასა, სადაცა ნე-

ბავს, და გამოაჩენს მას შინა განსაკუთრებითსა თვის-
სა მოქმედებასა დიდისა რომლისამე საქმისა-თჳს. მა-
გალითებრ: ბუნებითია ქალისა-თჳს შობა შვილისა,
მაგრამ შობა მამა-კაცისა გამოუცდელად უაღრესი არს
ბუნებისა; ეგრეთვე, ბუნებითია კაცისათჳს განძღობა
ზურითა, მაგრამ განძღობა ხუთი ათასისა კაცისა ხუ-
თითა მხოლოდ ზურითა და ორითა თევსითა, უაღ-
რესი არს ბუნებისა; და კჳაღად, ბუნებითია ცეცხლი-
სა-თჳს დაწვა და დანთქმა ნიუთიერებისა და ცხოვე-
ლისა; მაგრამ სამნი ერმანი—ებრაელნი არა შეიწვნენ
აღსა შინა ცეცხლისასა, არამედ დაშთნენ უვნებელად
ყოფლითურთ.—ესრეთნი მოქმედებანი ღჳთის განგებუ-
ლებისანი იწოდებიან ს ა კ ვ ი რ ვ ე ბ ე ლ ა დ ა ნ უ
ს ა ს წ ა უ ლ ე ბ ა დ. ხოლო ვინაჲდგან ღმერთი არის
ყოვლად-ბრძენი და ყოვლად-შემძლებელი უფალი და
მეუფე ცისა და ქუჭყანისა,—ამისთჳს სასწაულები არა-
თუ შესაძლო, არამედ ფრიად საჭირონი და სასარ-
გებლონი არიან კაცისა და ქუჭყანისა-თჳს, და მა-
დიდებელნი ღჳთისა; ამისთჳს სასწაულები აღსრულ-

დებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც საჭირო არის ცხადად გამოჩენა ძალისა ღუთისა სადიდებელად მისა და სასარგებლოდ კაცთა, და როდესაც ჩვეულებრივი ბუნებითი წესი ღუთისა მიერ ქუჭუნის მცველობისა არა საკმაო არს.

მმართველობისა-თჳს ქუჭუნისა.

§49. მმართველობა ღუთისა მდგომარეობს მას შინა, რომელ იგი მოიუფანს ჭეშმარიტისა გზისადმი ყოველსა მიდრეკილებასა და განუმორებასა ქმნილებისასა მინიჭებულისა მათდა სჯულისა და წესისაგან; ხოლო რომელნიცა კეთილად და განუმორებელად ვლენან სჯულისა და ბუნებისა-მებრ, იმათ ამტკიცებს და ამაგრებს მას შინა, რათა არა განუმორნენ და მიიდრიკონ უკეთურებისა და უწესობისადმი.

§50. მმართველობა ღუთისა, ვითარცა მცველობა, შეესება ყოველივეს სასოკადოდ როგორც დიდსა, ეგრეთვე მცირესა. მაგალითებრ: 1) ღმერთი მართავს მოქმედებასა ნივთიერებისასა, ესე იგი—უჩვენებს მას

გზასა, ზომასა და დროსა და მოავლენს ელვასა, ქუხილსა, წვიმასა და თოვლსა ქუჭყანასა ზედა (იობ. თ. 28, მ. 26), რათა ეოველი ესე იქმნეს სახმარად და სასარგებლოდ კაცთა და ზირუტევთა (ფს. 103, მ. 14); და 2) მართავს კაცთა ნათესავსა, ესე იგი—დაადგენს მეფეთა და მთავართა სამეფოთა შინა კაცთასა და სცვლის მათ ნებისა-ებრ თვისსა (დან. თ. 2, მ. 21, და თ. 4, მ. 14); ეგრეთვე თვითოულსაცა კაცსა აჩვენებს და აუწიებს გზასა, რომელსა ზედა ვიდოდეს იგი ცხოვრებასა შინა თვისსა, ესე იგი—უფლისა მიერ შეუღლვის ცოლი ქმარსა (იგავ. თ. 19, მ. 14); მის მიერ განმდიდრების კაცი და ღარიბების, ცოცხლების და მოკვების, სნეულების და ადრების, დამდაბლების და ამაღლების (1 მეფ. თ. 2, მ. 6. 7; იობისი თ. 5, მ. 18; ფსალმ. 142, მ. 8), და ეოვლით კერძო შეწევის და განუმარჯვებს მოუვარეთა თვისთა (რომ. თ. 8, მ. 29). ზოგჯერ ღმერთი მიუძვებს კაცსა ცოდვისადმი, მაგრამ თუთ ბოროტმოქმედებასაცა მისსა ხმარობს და მიაქცევს საცხოვ-

ნებელად მისა და სადიდებელად თავისა თვისისა: მაგალითებრ, ღმერთმან მიუშვა წინასწარმეტყველი დავით და სსჴანიცა მრავალნი წმიდანი ცოდვისადმი, მაგრამ შემდგომად კვალად მოაქცია იგინი უმეტესისა სიწმიდისადმი სინანულისა მიერ. ხოლო სოკჯერ აუენებს ბოროტ-მოქმედებასა მტერისასა მართალთა მიმართ: მაგალითებრ, მან დააუენა ბოროტი განსრახვა და უსჯულოება აბიმელექისა აბრაამის ცოლისა მიმართ (შექმნათა თ. 20, მ. 6); და შემოკლებულად ვსთქუათ, ღმერთი ხმარობს ეოველივე საშუალობას მოსაქცევად და საცხოვნებელად ცოდვილთა, მისთვის რომელ არა ნებავს მას წარწეიდა ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხოვრება მისი (ეზეკ. თ. 33, მ. 11).

§ 51. სახე მმართველობისა, ვითარცა სახე დაცვისა, არის ორ-გვარი: ბუნებითი და საკვირველებითი. მნიშვნელობა ამათი არის მსგავსი მისა, რადცა ითქვა ზემო-აღნიშნულს ჰარავრაფში (§ 48). მხოლოდ აქ უნდა დაუმატოთ ზემო-თქმულსა ცოტა რაჲმე, ესე იგი: სხვებრ მართავს ღმერთი ქმნილე-

ბასა უგონოსა და სხვებრ გონიერსა—კაცსა. ჰირველ-
ნი—ქმნილებანი უგონანი—მოქმედებენ უოველთჳს თა-
ნახმად მათისა ბუნებისა, და ამისთჳს მართუა მათი
არის ბუნებითი; ხოლო მეორენი—ქმნილებანი გონი-
ერნი—მოქმედებენ ნებისა-ებრ მათისა, ვინაჲდგან ღმერ-
თმან მიანიჭა მათ თავის-უფლება, და ამისთჳს მოქ-
მედებანი მათნი არიან ხან თანახმანი სჯულისა და
კანონისა და ხან წინააღმდეგნი მათნი. ამის-გამო მმარ-
თველობა ღუთისა შესახებელად გონიერთა არსებათა
ანუ კაცთა არის დაფუძნებული მათს წნეობითს მოქ-
მედებასედ, რომელსა ხშირად ემორჩილება, ბრძანები-
სა-ებრ ღუთისა, თჳთ უგონო ქმნილებაცა, ესე იგი:
როდესაც მოქმედება და ცხოვრება გონიერისა ქმნი-
ლებისა ანუ კაცისა არის კეთილი, წმიდა და სათ-
ნო ღუთისა, მაშინ ბუნებითნი მოქმედებანიცა უგონო-
თა ქმნილებათანი არიან კეთილნი და სიამოვნებით
სასარგებლონი მისთჳს; ხოლო როდესაც მოქმედება-
ნი და ქცევანი კაცთანი არიან ბოროტნი და წინა-
აღმდეგნი ღუთისა, მაშინ თჳთ უგონო ქმნილებაცა

გამოიყვლის ბუნებითსა მოქმედებასა და ზნესა თვს-
სა, და სამწუხარო და წინააღმდეგ ექმნების მათ; ეს-
რეთნი არიან: კეთილ-შესაუება ჭაერთა და კეთილ-გა-
მოღება ნაყოფთა ქუჭყანისათა, რომლისა-გამო შმვი-
დობით და მუდროებით ატარებენ კაცნი ცხოვრებასა
ქუჭყანასა ზედა, და სხუანი ყოველნი კეთილნი ქუჭ-
ყანისანი; ეგრეთვე წინააღმდეგნი ამათნი: მავნებელი
ჭაერი და უნაყოფოება ქუჭყანისა, შოთი და ვაება,
და მსგავსნი ამათნი მწუხარებანი და სატანჯველნი
ბოროტთა-თვს.

§ 52. აღნიშნული აქა სწავლა განკებულებისა-თვს
ღუთისა კვიტკიცებს, რომ ქუჭყანაზედ და უმეტესად
კაცთა ნათესავთა შორის მოქმედებს არა რომელიმე
უბრალო და უმიხეზო ბედი ანუ უბედურება, გინა
ბედის-წერა, არამედ თვთ ნება ღუთისა, ყოვლითურთ
წმიდა და კეთილი ქმნილებისა-თვს მისისა; ამისთვს
არა არს ქუჭყანაზედ ისრეთი უბედურება გინა გან-
საცდელი, რომელსაცა ვერა განემოროს კაცი ლოც-
ვითა და ვედრებითა, სინანულითა და კეთილ-მსახუ-

რებითა; ეგრეთვე, განგებულება ღუთისა არა დააბრკოლებს ანუ შეაწროებს თავისუფლებასა კაცისასა, არამედ ზოგ-ჯერ თუთ შეეთანასწორების მას, და ესრეთ წარმართებს უმეტესისა კეთილისა და ჭეშმარიტისა გზისადმი; მსგავსადვე ამისა ვერცა თავისუფლება კაცისა დააბრკოლებს განგებულებასა ღუთისასა, არამედ იგიცა ემორჩილება მას და მოქმედებს განზრახვისა და წინათ-მხილველობისა-ებრ მისისა; მისთვის რომელ კაცსა აქუს სრული ნება და თავისუფლება ქმნად ბოროტისა და კეთილისა,—კეთილსა ასრულებს იგი ნებითა და შეწევნითა ღუთისათა, ხოლო ბოროტსა მისითა მიშვებითა და დაცალებითა, რომლისათვის მიანიჭებს იგი კაცსა სასუიდელოსაცა საქმეთა მისთა-ებრ.

აჲ, ქრისტიანო, სწავლა სასუგეშო და საიმედო ჩუწნოთ! ღმერთი განაგებს საქმეთა ჩუწნათა; ამისთვის მიუტეოთ მას ზრუნვა ჩუწნი—და მან გამოგვასრდოს ჩუწნი. გარნა ვსასოებდეთ რა ღმერთსა, ნუ მივსტუმთ თავსა თვისსა ზარმაცობასა და უღებებსა, არამედ ვიქმედეთ მარადის საქმესა კეთილსა შეძლებისა-ებრ ჩუწნისა, და იგი უმეტესად შეგვაწვიოს ჩუწნი; უფროს ეო-

ველთა განვიცადეთ და გამოვიძიოთ გზანი განგებულე-
ბისა ღმერთისანი ცხადებებსა შინა თჳსსა, რათა ვსცნათ-
შეიქმნას ვართ თუ ახლავს წინამძღუდისა და მაცხადი-
სა ჩუქნისაგან, და შეეთანხმებიან თუ არა საქმენი ჩუქნ-
ნი ნებასა და მზრუნველობასა მისსა . . .

სწავლა ანგელოსთა-თჳს.

§ 53. ანგელოსნი შეადგენენ ქუჭყანასა უხილავსა და ზეცოერსა, და არიან არსებანი სულიერნი და გონიერნი, უუსრულებსნი და უმაღლესნი კაცთა.

§ 54. მეოფობა თჳსი ანგელოსთა მიიღეს ეოფლისა შემოქმედისა ღუთისაგან, მსგავსად სხუათა ქმნილებათა, ვითარცა იტევის მოციქული ჰავლე: «მის მიერ დაებადა ეოფელივე ცათა შინა და ქუჭყანასა ზედა, ხილულნი და არა ხილულნი, ანუთუ საუდარნი, ანუთუ უფლებანი, გინათუ მთავრობანი, გინათუ ხელმწიფებანი, ეოფელივე მის მიერ და მისა მიძარით დაებადა» (ეოლოს. თ. 1, მ. 16). ხოლო დროებისათჳს, თუ ოდეს შეიქმნენ ღუთისაგან ანგელოსნი—სადმითო წერილი არა რას კვამცნებს ჩუენ თჳნიერ მისა, რასაცა ბრძანებს თჳთ უფალი წიგნსა შინა იო-

ბისსა: «ოდეს შეიქმნებოდინ ვარსკჳლავნი, მაშინ მაქებდენ მე ხმითა დიდითა ანგელოსნი ჩემნი» (იოზ. თ. 38, მ. 7). ამისთჳს იტყვიან წმიდანი მამანი, რომელ ანგელოსნი არიან შექმნილნი უწინარეს კაცთა ნათესავისაო.

§ 55. თჳსებანი ანგელოსთა არიან შემდგომნი:

1. იგინი არიან ს უ ლ ნ ი უ ს ხ ე უ ლ ო ნ ი, და ამით ცხადად განიჩევიან კაცთაგან ხორციელთა და ნიუთიერთა (იხილეთ ებრაელთა თ. 1, მ. 14; და ეფეს. თ. 6, მ. 12). მაგრამ სულობა და უხორციელობა ანგელოსთანი არიან განსასღვრულნი და კერძობითნი, ესე იგი—ანგელოსნი არიან უხორციონი და უსხეულონი შესახებელად ჩუწნდა, რომელნიცა ვართ ფრიად შეზურობილნი, შეკრუულნი და შესდუდვილნი სიმძიმითა და სიბილწითა ხორციელებისა და ნიუთიერებისათა,—და შესაფერი სასე და სომიერება აქჳსთ ანგელოსთა: ეოვლითურთ და სრულიად უხორციო, უნიუთო, უსომო და გარეშემოუწერული არის მხოლოდ ღმერთი—შემოქმედი ეოველთა—სულიერთა და ხორციელთა.

2. ანგელოსნი არიან უსილავნი (კოლას. თ. 1, მ. 16). თუძცა იგინი მრავალ-გზის გამოეცხადნენ კაცთა ქუცყანასა ზედა სსვითა და სსვითა სასითა, და თუძცა მათ მიეწერება მრავალ-თვალობა და მრავალ-ფრთოვანება, როგორც მოკვითხრობს საღმრთო წერილი, — მაგრამ ესენი არა არიან შინაგანნი და სამარადისონი კუთვნილებანი მათნი, არამედ აღნიშვნენ მხოლოდ სსჟათა და სსჟათა თვსებათა და მოქმედებათა მათთა, შესაფერთა ბუნებისა მათისათა; ეგრეთვე თუძცა ანგელოსნი კეთილნი იხატებიან ერმებრივად და განშიშვლებულად, ვითარცა ერმანი, მაგრამ ამათაცა აქჟსთ სსჟა მნიშვნელობა, ესე იგი — ესენი აღნიშვნენ მას, რომ ანგელოსნი არიან ყოვლითურთ უძანკონი და უბიწონი, და არა აქჟსთ მათ არა რაჲმე სასირცხო და დასათვარავი, ვითარცა კაცთა ცოდვის-მოქმედთა, და არცა მოხუცდებიან იგინი არაოდეს, ვითარცა კაცნი, არამედ მარადის არიან მხნედ და ჭაბუკად; ხოლო მრავალ-თვალობა მათი აღნიშნავს მრავალ-გვართა და მრავალ-სახეთა ცოდნათა და მსედველობათა მათთა; და

მწავალ-ფრთოვანება—სისწრაფესა და სიხქარესა მათ-
სა აღსრულებად ნებისა ღმრთისა, რომლისა-გამო იგი-
ნი არა დაბრკოლდებიან მსწრაფლად გარდამოსვლად
ზეცით ქრისტეანასა ზედა და მიმოსვლად ყოველთა ად-
გილთა ბრძანებისა-ებრ უფლისა ღმრთისა. მაგრამ თუ-
სებანი ესე არიან შემოკლებულნი და განსასდგურებულ-
ნი, ესე იგი—ანგელოსნი არა არიან ყოველგან მო-
ფნი და ყოვლისა მეცნიერნი, ვითარცა ღმერთი; არა-
მედ როდესაც მოვლენ ქრისტეანასა ზედა, ანუ წარ-
გზავნიან სხუასა ადგილსა,—მაშინ იგინი არა დაშთე-
ბიან და არცა იქმნიებიან ზეცათა შინა ანუ ჰირველთა
ადგილთა მოყოობისა მათისათა, არამედ იქმნიებიან მსო-
ლოდ იქ, სადაცა წარგზავნიებიან ნებითა ღმრთისათა, და
სხუანი. ამისთვის არის მათთვის აღნიშნული და განსას-
დგურებული ადგილი მოყოობისა, რომელიცა იწოდება
სადმართო წერილში მ ე ს ა მ ე ც ა დ, ანუ ც ა დ
ც ა თ ა, ესე იგი—უმაღლეს ცად (2 კორინთ. თ. 12,
მ. 2, 3 მეფეთა თ. 8, მ. 27), და ამისთვის ბრძა-
ნებს თუთ უფალი იესო ქრისტე: «ანგელოსნი ცათა

შინა მარადის ხედვენ ზირსა მამისა ჩემისასა» (მათ. ო. 18, მ. 10),

3. ანგელოსნი არიან უკუდავნი, მაგრამ არა ბუნებითა, არამედ მინიჭებულითა მათდა მადლითა ღუთისათა, ამისთვის რომელ ბუნებით ეოველივეს, რასაცა მიუღია დასაწყისი, აქუს დასასრულიცა, — და ესრეთნი არიან ბუნებით ანგელოსნი, ვითარცა ქმნილებანი.

4. ამათ ეოველთა-თანა ანგელოსთა აქუსთ საკუთარი გული, გონება, სურვილი, განზრახვა და მოქმედება, რომლისა-მიერ იგინი მოქმედებენ თავისუფლად და აღირჩევენ კეთილსა და ბოროტსა, როგორც გვიმტკიცებს ისტორია მრალთა მათგანთა დაცემისა დაშეცოდებისა, რომელნიცა აწ იწოდებიან ეშმაკებად; ხოლო სხუათა აღირჩიეს მარადის ეოფა ნებისა ღუთისა, და დაემტკიცნენ მადლითა მისითა სიკეთესა შინა, და იგინი არიან ანგელოსნი კეთილნი.

§ 56. ამისთვის ანგელოსნი განიყოფებიან ორ გვარად. ზირველსა ეკუთვნიან ანგელოსნი კეთილნი, ხოლო მეორესა — ანგელოსნი ბოროტნი ანუ ეშმაკნი.

ეკლესიის ალავერდისა და წმიდა მოწამე დედო-
ფალი ქეთევან.

თელავიდან თხოუმეტ ვერსტზედ სდგას მშენიერი ეკლესიის ალა-
ვერდისა — გვირგვინი მრთლად ივერიის ტაძართა. ჯერეთცა არიან ოდეს-
მე მაგარნი გალავანნი მისნი და კოშკნი, დამცველნი დაცემისაგან მტერ-
თა. დასავლეთის მხრით შველის კარი ეზოსა ტაძრისასა, რომლისა არ-
ხიტეკტურებით შეწყობილნი შენებულებანი და გარეგანნი შემკულებანი
განაცვიფრებენ თვალთა, ასიამოვნებენ და დაატკბობენ გულსა ქრისტიან-
ისასა. მოგძო და გაწო თანჯრებიანი გუმბათი მისი სიგძით არის
ოთხმოდ და თექვსმეტი რუსული ადგი; ეკლესიასა აქუს ოთხმოდ და
ორი რუსულივე ადგი სიგძე და ორმოდ ადგი სიგანე. გარეშე კედელ-
ნი ტაძრისანი, მრთლად თლილთა ქუთაგან ალუვანილნი, ადგილ ადგილ
არიან შედრეკილნი და შემკულნი ჩუქურთმებითა და ამ გარითავე ჯუჭ-
რებითა. გარედგან ეკლესიის კედელთა ჰქონიათ შიდაგულნი ოცამდისინ
სტოვანი (მცირე სამწირველო), რომელნიც დაუქცევიათ ამ ორმოდ და
ათის წლის წინათ. შემსკულსა შიგ ეკლესიაში უმეტეს განაკვირვებენ
მოყვანილებანი ყოველთა მისთა ნაწილთა და მოყვანილება მისის გუმ-
ბათისა, რომლისა საფუძველად სდგანან ექვსნი სვეტნი გადაბმულნი ერ-
თი მეორესა ზედან თაღებითა. საკურთხეველი არის გაყოფილი სამ ნა-
წილად; ერთი ამათგანა, რომელიც ოდესმე ყოფილა სამწირველოდ, აწ
არს დაღებული სალაროდ; ეკლესიის იყო აღშენებული სახელსა ზედან

წმიდისა შთავარ-მოწამის გიორგისა და იგი ადრის უამიდგან დღესასწა-
ულობდა ხსენებასა ამის წმიდისასა; გარნა ოდეს ლეონ კახთა მეფემან
მოიღო იერუსალიმით ნაწილი ცხოველს-მეოფელის ჯვარისა, რომელი
უბოძა გერმანოზმან იერუსალიმის პატრიარქმას, განახლების-ათჳს იერუ-
სალიმში ქრისტეს აღდგომის ეკლესიისა, და ამის მიზეზისაგანო ხალხმა
დაიწყო მრავლობით მოსკლას შორიდგან თაყვანის-საცემლად ამა სიწმი-
დისა დღესა მსოფლიო ჯუჯარის-ამაღლებისასა (თოთხმეტს რიცხვს სეკ-
დემბრის თჳსას); ამისთჳს მეოფემან საქართველოსა შინა ექსარქოსად,
მიტროპოლიტმან იონამ, გააკეთებინა ხოცასა ზედან სამწიროველო სა-
ხელსა ზედან წმიდის გიორგისა და ტაძარი ალავერდისა აგურთხა სა-
ხელსა ზედან პატრიარქისა ჯვარისა. ადგილსა მას ზედან, სადაც დღეს
ჭსდგას ტაძარი ალავერდისა, მეექვსე საუკუნეში აღაშენა ეკლესია ერთ-
მან ათცამეტთა ასურელთა მამათაგანმან იოსებ, სახელსა ზედან დიდის
მოწამის გიორგისა და ჭქმნა იგი საეპისკოპოსოდ. კახეთის მეფემ კვი-
რიკემ, მეცხრე საუკუნეს განმავლობაში, დააქტია სიძველისაგანო ეს ეკ-
ლესია და ადგილსავე მას ზედა აღაშენა დიდ-მშვენიერი ესე ტაძარი,
რომელიც ჭკიეს იმავე სახით ვიდრე დღეინდელად-დღედმდე. მხოლოდ
ძრეელის მიწის ძვრისა განო ჩამოიქცა გუმბათი ჩოღ წელსა (1530)
და დიდის წარსაკებელით დაადგა იგი მეფემან ლეონ. ჩემ წელსა (1740)
გვალადცა ჩამოიქცა და ამ უამად თელავში ბძანდებოდა დედოფალი თა-
მარ, მეუღლე კახთა მეფის თეიმურაზ მეორისა, აქედგან დაინახა რა მან
დაცემა გუმბათისა, მაშინვე დაუყოვნებლივ წაბძანდა ალავერდს მრავლის
ხალხითა და გარის კაცებით და თჳთ შველოდა მათ გამოზიდვასი ეკ-
ლესიიდან ნაქცევთა. მალალი და მოხდენილი კანკელი მისი არის შე-
წირული და მოსკოვიდგან გამოგზავნილი უკანასკნელის საქართველოს
მეფის გიორგის ძის ირავლისაგან და არხიუბისკოპოსის დოსითეოსი-
საგან. გარნა ამა კანკელსა შინა ასუენია ოთხი ფრიად ძველი ხატი: ორი
დიდის მოწამის გიორგისა და ორი ღუთის-მშობლისა, მოსკენებულნი
სხუათა გაუქმებულთა მონასტერთაგან. განსაკუთრებით შესანიშნავ არს

ხატის წმიდის გიორგისა, რომელიც ასკენია მარცხნივ და შეუმოსინებია
ოქროთ დაფერილას გეტხლითა ერთსა ალავერდის წინამძღუართაგანსა,
თავადს ჩოლაყაშვილს, ხელსა წელსა. ეს ხატი მოუსვენებიათ ახსრებულის
ბოჯორმის მონასტრიდგან. ეკკლესიის საღაროში არიან მრავალნი ძვირ-
ფასნი სამკაულნი და ძველნი ხატნი. სხუათა შორის არის ძველი ტრა-
პეზის სახარება დაწერილი ეტრატზე მეტხრე საუკუნეში, რომელსა ქქო-
ნან წმიდათა ნაწილნი ქრისტე ხატთა უდათა ზედა გამოხატულთა და ოქ-
როთი და მარგალიტით შემკულთა. წარწერისაგან ამა სახარებასაზედან
ჭსჩანს, რომელ პირველ ეკუთვნოდა იგი კაცხის იმერეთის ეკკლესიასა და
შემდგომ დაუხსნია იგი სპარსთა ხელთაგან, შაჰ-აბაზის დროს, ზებედეს
ალავერდის წინამძღუარსა. არიან სხუანიცა მდიდრად შემკულნი ხატნი
შეწირულნი ლეონ მეფისა და მეუღლისა მისისა თინათინისგან. ერთი
მათგანი მაცხორის ხატი მრთლად არის მოჭედილი ოქროთი, შემკუ-
ლია ცხოველს-მეოთუელის ჯვარის ნაწილითა და სხუათა წმიდათა ნაწი-
ლებითა. აქვე არს ტრაპეზის ჯვარი წარმოგზავნილი რუსთა მეფის მი-
ხაილ თეოდორეს ძის მიერ მეფის თეიმურაზისადმი ჩქა-სა წელსა.
უმეტესნი ნაწილნი ძვირფასთა სამკაულთა და წმიდათა ხატთა არიან აკ-
ლუბულნი სპარსთა მეფის შაჰ-აბაზისაგან, ოდეს დაეცა იგი ქართლსა და
კახეთს, უწყალოდ შემუსრა წმიდანი ეკკლესიანი და თავისის ხელით
სტრცენიდა ხატთა და ჯვართა და სიმდიდრესა მათსა განუყოფდა მან-
ლობელთა თვსთა.

უღმრთო მან შაჰ-აბაზ უწყალოდ შემუსრა ქართლისა და კახეთის ეკ-
კლესიანი; გარნა მისგანვე მოვიღეთ ჩვენ თვთ უძვირფასესი საუნჯე,
რომელიცა აწ დატულ არს ალავერდის ტაძარსა შინა ქვეშე დიდის ტრა-
პეზისა: საუნჯე ესე არს ნაწილნი წმიდის მოწამის კახთა დედოფლის
ქეთევანისა (*), რომლისა გნებანი თუ რომ არ აღემატებინ ტანჯუათა

(*) ცხოვრება წმიდისა ქეთევან დედოფლისა აღუწერიათ: შეილსა მისსა თეიმურაზ
პირველსა; თავადს დიმიტრი ზაგრატიონს; გარეგნის მღუღელ-მონაზონს გიორგის; სო-

წიგნულთა აღმსარებელთა ქრისტეს სარწმუნოებისა და თითქმის ღვაწლთა დიდის მოწამის გიორგისაცა, ვგონებ ნაკლებნი არღა არიან. გულისა გასაგმირავი მოთხრობა ვნებათათჳს ამა სამეფოელსა წმიდისა შეუკრებიათ თჳლით მხილველთა და მოწმობენ თჳსნიცა წმიდისანი: შვილი მისი თჳ-
ომურაზ, მეფე არჩილ და კათალიკოზი ანტონი. თჳთ-მხილველად ქეთე-
ვანის ვნებათა იყვნენ ლათინთა (თრანგთა) მღჳდელნიცა, რომელთაც მო-
ასკვენეს სპარსეთით საქართველოში ნაწილნი წმიდისანი.

ქეთევან იყო ხანებულის ბაგრატიონთა გუარისაგან, რომლისა მამა
აშოთან, შვილის-შვილი კონსტანტინე მეფისა, ჭსტხოვრებდა შუხრანს,
მექანი მშკენიერის სახისა, იტყუას ანტონი კათალიკოზი: «ჭსწავლული
სარწმუნოებითა, ჭსწავლული სამღჳდლოდთა წერილითა, მომგები სათ-
ნოებათა, ქალწული მორცხვი, ბრძენი კეთილ-გონიერებისა ხმეითა, ქალი
ნარჩნარი ჭ მხნე კეთილთა მოქმედებათადმი, ურმა მშკენიერი ჭ უმშკენიერესა
მიმადლებულებითა» მიეთხოვა ცოლად დაკითხ, კახეთის მეფის ალექსანდრეს
შვილს და შვილის-შვილს დიდის ლეონისასა. ეს მოხდა იმ დროს, რომ-
დესაც შაჰ-ახას განიზრახვიდა ქართლისა და კახეთის შემუსვრასა და მის-
თა მთავართა არ იტყოდნენ თუ სად, ანუ ვისგან მიეღოთ შეწყენა. მეფე
ალექსანდრე მოელოდა შემწეობასა რუსეთისაგან და ამისთჳს არა ერთ-
გზის ჭსთხოვა წიგნითა შორის ღოდუნოვსა, რათა მოხედოს მან შე-
ვიწროებულს ქვეყანასა. თჳთ ალექსანდრესაც ელოდებოდა უბედურობა:
იგი იყო მკვლეელი ძმისა თჳსისა და ამისთჳს მას მოეკლინება სასჯელი
ხაკუთარის თჳსის სახლისაგან: უფროსმან შვილმან დაკით, ქმარმან ქე-
თევანისამ, წაართვა მამასა სამეფო ტახტი; გარჩა თჳთ მტაცებელიც კერ
მიემთხვია კეთილსა: როგორც რომ განთავისუფლდა სნეულებისაგან მო-
ხუცებულნი მამა მისი ალექსანდრე, შევარდა იგი ალავერდის ეკლესიაში
ფერხთ-შიშველი და ტანთ-ხაუცმული და სახალხოდ დასწყევლა ურჩი შვი-

მეხო მეისტორიეს არაქელს; ანტონი კათალიკოზს; ლათინთა მღჳდელთა; ბესარიონ
კათალიკოზს და სხ.

ლი თვისი. მალე ეწია მას წყევს მამისა. დავით უცებ განდა აკად და დიდის ტანჯვით გარდაიცვალა, დამტეკებული ახალგაზდა ცოლისა და მცირეს წლოვანის თეიმურაზისა. განრისხებულმან და შურის მკებელმან პაპამ გაუგზავნა ერმა თეიმურაზ შაის მძევლად და მეფობისა თანამემწედ ქქმნა მეორე შვილი თვისი გიორგი. განა მას ჭყვანდა მესამე შვილიც კონსტანტინე, სიურშიდგანვე გაგზავნილ მხევლად სპარსეთში და იქ გაათათრებულად. ეს კონსტანტინე იქმნა ბოლოს ამამწევეტულად სრულად თავის სახლისა.

შაჰ-ახანმან ჭსტნა რა, რომელ ალექსანდრე ეძიებს რუსეთისაგან შემწობასა და მოვარკველობასა, მაშინვე განიზრახა ერთობრივ აღხორცუდა განხეთში სამეფო პირთა, ერთგულთა რუსეთისათა, აღმოფხურა და წმიდის საწმუნოებისა და დასმა მას შინა მაჭმადიანის მეფისა. ამისთვის წარმოგზავნა სპარსეთით კონსტანტინე დიდის ჯარით, რომელმაც მსწრაფად თვისის განხეთში მოსვლისა, მოჭკლა მოხუცებული მამა თვისი ალექსანდრე და ძმა გიორგი, იქმნა მეფედ და მოიწადინა შერთვა ცოლად თავის რძლის ქეთევანისა. ქეთევანმან, ჭსტნას-რა ამ გვარი ბოროტი განზრახვა უბოროტესის თავის მახლისა, მაშინვე წარვიდა მუხრანს, თავის სამშობლოს სახლში და აქ იგლოვდა ტყუეობასა ძისა თვისისა. კონსტანტინესგან სასტიკად შეწუხებულთა განთა მომართეს ქეთევანს, ჭსტხლავს მას დედოფლობა და განხეთისა და აწმუნეს მას თვით, რომელ იგინი დაემოწმილებიან მხოლოდ მის ბრძანებასა. ქეთევანმან შეისმინა კედრება ერისა, წარვიდა განხეთად, სადაც დახუდა ბრძოლისათვის განმზადებული ჯარი, მიიღო წმიდა საიდუმო და ჯარსაც მიაღებინა, დაეცნენ კონსტანტინეს აღაზნის პირზედ, მოკლეს და მხედარნი მისნი შიშისაგან დაიფანტნენ. დიდებულთა დასკეს ქეთევან დედოფლად, ხოლო მან წარგზავნა კაცი შაჰისტან და ეკედრა შვილის სპარსეთით დაბრუნებასა. ამ დროს შაჰის ჭქონდა განხეთქილება ხონთქართან, და ამისთვის შეშინებულმან, რომ განხი არ მიუდგნენ ოსმალთა, წარმოუგზავნა ქეთევანს თექმეტის წლის თეიმურაზი, რომელსაც დაეცვა ტყუეობაში ქრისტეს საწმუნო-

ნოებს; დაუყოვნებლივ უკუერთხეს მას გვირგვინი მეფობისა ბოდბის წმი-
და ნახას ეკკლესიაში; სრულ იქმნა გულთაღი სურვილი ქეთევანისა;
ამიერიდგან იგი უმეტეს იწეებს ეკკლესიათა განშვენებასა, გლახაკნი და
დავრდომილნი უხვად მიიღებენ მისგან მოწყალებასა, მთელი კახეთი ლა-
ცავს და აკურთხევს სახელსა მისსა, როგორც აწ აკურთხევს მას მთელი
ქვეყანა ივერიისა. ესრედ მშვიდობით განკლდა ათმან წელმან ქეთევანის-
თჳს, რათა შეიკრიბოს მან ძალნი მოთმინებისათჳს მათ ახალთა ღვა-
წლთა და ვნებათა, რომელთა მიღება ჯერ-აწ მისგან მტკიცედ და შე-
ურყევად დატვისათჳს ქრისტეს საწმუნოებისა.

გამოიტვალნენ გარემოებანი: შაჰ-ახას შეურიგდა ოსმალს და რადგანაც
იშიშვიდა რუსთაგან, რათა არა მიიღონ მათ უფლება მის კელწიფების
ქვეშ მეფოს საქართველოზედ, მოიწადინა რომ ერთის დატემით შემუს-
როს მას შინა ქრისტიანობა, ტყვე ჰყოს მცხოვრებნი, აღმოებვრას ეკ-
კლესიანი და მით სამუდამოდ დაიმონავოს ქვეყანა ჩუქნი. ამისთჳს შაჰი
ეძებდა მიზეზსა საქართველოზედ ბრძოლის ატეხისასა და მალეც იპოვა.
მოურავი სანკაძე, რომელიც შემოსწერა ქართლის მეფეს ლუარსაბს, რად-
განაც მან, აღთქმისამებრ თჳსისა, არ შეირთო ცოლად იმისი ქალი გა-
იქცა სპარსეთში, დაწვლილებით აცნობა შაჰ-ახას უღონობა თავისის
ქვეყნისა. და რომ უმეტესად გაეშფოთებინა ავ-ხორცობა მისი, გარდა-
მატებით უქო მას მშვენებება და სიკეკლეუცე ლუარსაბის დის ხორეშა-
ნისა, რომელიც იყო დაწინდული კახთა მეფის თეიმურაზზედ. შაჰიმ
მოითხროვა ცოლად ხორეშან, ლუარსაბმან უარი შეუთვალა და ამისთჳს
ასტედა საშინელი თოთხმეტის წლის ბრძოლა, რომელმაც სრულებით
აბურ ჰყო ჩვენი უმედური საქართველო. ჰსცნა რა თეიმურაზმან შაჰის
წამოსვლა სპარსეთით საქართველოზედ დიდის ჯარით, მან მოიწადინა
პირის-პირ შებმა მისი, გარნა სულ-მოკლეობამ შეიპურა კახთა თავადნი
და მათ სთხოვეს მეფესა, რათა მოეჩილ ექმნის იგი შაჰის და დაზვა-
ებისათჳს წარგზავნოს დედა თჳსი ქეთევან წინაშე მისსა, რადგანაც დე-
დაკაცის ცრემლთა და ძვირფასთა ძღვენთა შეუძლიანთ დამშვიდება თჳთ

უღმრთელის გულისა. დედოფალი ვერ უნდა ექმნა ხალხის თხოვასა და შეჭსწირა თავი თვისი მსხვერპლად გამოხსნისა-თვს მამულისა; მან წარყვანა თან უმცროსი შვილის-შვილი თვისი ალექსანდრე და საუკუნოდ გამოყსალმა შვილსა და სამშობლოსა. ეს იყო პირველი ღვაწლი მისის მოწამეობისა. განჯის ახლომხე შეხუდა წინ შაჰის ქეთევან. მან შეიწყნარა იგი დიდის პატივით, დაისვა გვერდით და დაუგო პური, ხოლო გულში კი განიზრახვიდა ბოროტსა. შაჰიმ ჰკითხა დედოფალსა, თუ რადსათვის არ ინება პირისპირ ნახვა მისი თეიმურაზთან, და გამწერალმან მოითხოვა მზეკლად მეორე შვილი თეიმურაზისა ლევან. ეწია რა გულის სწაღელს და ხელთ მოიგდო ლევანიც, მაშინ უწყალმან შაჰიმ გაგზავნა ქეთევან, მისის ორის შვილის-შვილით შირაზად სპარსეთის ქალაქში, სადაც ყრმათა ელოდათ უღრმოდ სიკუდილი, ხოლო ქეთევანს მოწამეთა გვირგვინი შემდგომ ხან-გრძელის პატიმრობისა, და თვით დაეცა ქართლს; ღუთასა-მოყვარე მეფე მისი ლუარსაბ შეიპყრო მცბიერობით, წარგზავნა იგიცა შირაზად, რადგანაც არ ინება დატეკება ჰსჯულისა და შემდგომ შვიდის წლის ტყუობისა დაარჩობინა. (*)

თეიმურაზ მეფე იულტოდა იმერეთს, და ოდეს ჰსცნა უგუნქცევა სპარსეთად შაჰ-აბასისა, მოიწვია ოსმალის ჯარი და მათის შემწეობით ჰსძლო შაჰისაგან საქართველოში დადგინებულთ განმკებლებს. განრისხებული შაჰ-აბას მეორედ დაეცა საქართველოს, რისხუა მღუთისა დასცა მას ზედან, და როგორც რომ გაბრუნდა სპარსეთში, უბრძანა დაკოღვა ორისავე თეიმურაზის შვილისა, ლევანისა და ალექსანდრესი; მათ ვერ გაუძლეს საშინელსა ტკივილსა და მალე გარდაიცვალნენ. დარჩა დედოფალი ქეთევან ათის წლის ტყვე შაჰ-აბასისა.

უღმრთო შაჰ-აბას ხმარობს ყოველს ღონის ძიებას, რომ როგორმე შეატდინოს დედოფალი და მას ზედან ჰსცდის ყოველთა მათ სასტიკთა ტანჯვათა, რომლითაც განიცდებოდნენ პირველნი მოწამენი პირველის საუკუნისანი. მისგან გაგზავნილნი კაცნი არწმუნებენ დედოფალს, რომელ

(*) ევალესია ჩუბნი ჰყოფს წმიდასა ხსენებასა მისსა 21 ივნისს.

შატი დიდი პატივისცემულია მისი და ყოველთვის აქებს მის კეთილ-
სათნოებაან ცხოვრებას, და ამისთვის ჭსურს რათა აქუნდეს მას მხოლოდ
სახელი ცოლობისა მისისა, გარნა პატივისცემს როგორც დედას; შეიღსა
მისსა თეიმურაზს შეიწყნარებს შგზავსად საკუთარის შეიღისა და დაუ-
ბრუნებს მას სამეფოსა, თუ რომ ქეთევან დაუტეკებს ჭსჯუღსა თვისსა
და შიიღებს მაჭმადის საჩქმუნობასა. ამის მსმენელმან დედოფალმან სა-
სოებით დაიწერა პირჯვარი და სთხოვა შატიისგან წარმოგზავნილთა კაც-
თა. რათა აცადონ მას შეტყუდი ყაში და შემდგომ პასუხსა უკებს მათ.
ჭსთქვა რა ესე. შევიდა სახლად, რომელიც აქუნდა სალოცველად, მოიდ-
რიკნა მუხლნი და ცრემელ-მდინარემან მხურვალის გულით წარსთქვა კედ-
რება ესე: «შენ ღმერთსა სამებასა და თანა არსსა გიცნობ უცნაურსა
და უხილავსა, ვერ შემძლებელი თქმად საკვირველებათა შენთა. გეკედრე-
ბი, შ მუყოფო უგალო, შიშნეული მძლავრთაგან მცველთა ჭყერისათა, მო-
მივლინე მე ანგელოზი მცველი სულისა ჩემისა და შიითვალე სული ჩე-
მი, და განმიღე კარი სასძლასა შენისა; აღმრაცხე მე გუნდსა თანა მო-
წამეთა შენთასა; არა არს რიცხვი ცოდვათა ჩემთა, და არცა ვისმე შენდამი
მოწმუნეთაგანსა უცოდავს ჩემ-ებრ; აღვიარებ ცოდუათა ჩემთა, ვითარმედ
არა რაღ არს დაფარულ თვალთაგან შენთა. შენ განკურნენ წყლულებანი სუ-
ლისა ჩემისანი; მიეც ქესა ჩემსა თეიმურაზს ძლევადა, და რომელნი ჭყოფდენ
ხსენებსა ჩემსა შიანიჭე საუკუნო სუთევად. ქალწულო უბიწო, შემიწ-
ვალე მოწმუნე განგებულებითა მისა შენისათა». შემდეგ მოიღო წმი-
დამან სახაწილე და რადგანაც არ ჭყვა მღუდელი, თავისის ხელით ეზი-
რა უხრწნელთა საიდუმლოთა, და თანაზიარ იქმნა რა იგი ესრეთ უფ-
ლისათანა, გამოვიდა გარეთ უშიშრად და განბრწყინვებულის სახით უთ-
ხრა მტანჯველთა თვისთა: «როგორ არ იცის თქვენმან მომუღინებელმან,
რომ თვთ უმეტარნი ყმაწვილნიც კი დაცინვით შიიღებენ იმის რჩევასა
და დარბეებასა? მე როგორ შემაცდენს იგი, რომელსაც შემომოსია ძა-
ლი ქრისტესი? მან აღაოხრა სამეფო ჩემი, განაძო მე ჩემი, მოაკუდიანა
მის-ძენი ჩემნი, აღაოხრა და შკაგინა ეკკლესიანი და ჭსურს სიკუდილიცა

ჩემი? მომაკუდიდინოს. — ვიჯი მანჭადისაგან და ყოველთა საქმეთა მისთა-
გან, და ყოველთა სიბილწეთა მისთაგან! მრწამს მამა, მე და სული წმი-
და. სამება ერთადი და განუყოფელი. ვეკედრები ჯვარცმულსა ჩვენთჳს
და ყოვლად-წმიდასა დედასა მისსა, განმადლიეროს მე ყამსა ტანჯვისასა,
რათა მით ღირს ვიქმსე მე მოწამეთა გვირგვინსა. აჳს მე ვსდგევარ წი-
ნაჲ თქვენსა, ჰქმენით რაღცა გნებავსთ». მაშინ მტანჯველთა გამოიყვა-
ნეს ქეთევან ასპარეზსა ზედან (მოედანზედ), რათა ყოველმან ერმან ინი-
ლოს მოწამეობითი სიკუდილი მისი; მხილველნი ერნი სტიროდნენ, ხე-
დვიდნენ რა სასიკუდინედ განმზადებულსა კეთილსა და ქველის-მოქმედსა
დედოფალსა. განმგებელმან შირაზისამან. — იმამ-ყული-ხან, ქალაქს თავი
დაახედა და სხუგან წავიდა, რომ არ მიეღებინათ იმისთჳსაც მონაწილე-
ობა ამ უღმრთო და უსჯულო საქმის აღსრულებასი. განძარცვეს ტანი-
სამოსი დედოფალსა, გაუჭიმეს მკლავნი გლახაკთ-გამომზრდელნი და გა-
ხურებულს მარწუხებითა და გაზებითა, რომელნი ისროდნენ ნაბურწყალ-
თა, დაუწევს გლეჯა გვამისა და ძუძუთა მეთვისა გამომზრდელთა. ხოლო
წმიდა ქეთევან იდგა საშუალ თჳსთა მტანჯველთა როგორც უძრავი კლდე
და წენარად და დამშვიდებით ილოცვიდა ესრეთ: «უთალო იესო ქრის-
ტე. სუ ჰყოვნი მიღებად სულისა ჩემისა!» შემდგომ განართხეს მიწასა
ზედან და მის გვერდს და დაწელულებულს გვამსა ზედან დააყარეს ცე-
ცხლის ნაკურცხალნი, შუბლზედ დაადგეს განხურებული ბარი და მკერდით
ზურგამდინ გაუყარეს განხურებულნი შამიურნი. «მაჳ-ახას მძვინვარებდა,
სახიერი ქრისტე დასტებებოდა; ტანჯვანი ძნიადობდეს, მოსაკებული ძვირ-
ფასობდა» — იტყვის ანტონი ქათალიკოზი. დასასრულ დახურეს რა სა-
მეუფოსა თავსა ზედან განხურებული ქვაბი, მან მისცა სული თჳსი უფალ-
სა, ჩქედ სა წელსა, სეკდემბრის ივ-სა. ზეცისა ძაფთა განიხარეს, ოდეს
წარსდგა წმიდა დედოფალი წინაჲ მეუფისა საყდრისა ამა ახლათა გვირ-
გვინითა. ვიდრე დაბინდებამდე წმიდა გვამი ქეთევან მოწამისა, სისხლით
შესკრილი, იდგა შუა მოედანზედ და კერავინ ჰბედავდა მიახლოებასა,
მტანჯველთა შიშისაგამო, თუმცა გარემოს წმიდისა მრავალნი ქსტირო-

დენ. გარნა უფალმან აღიდა გვამი მისთვის ვნებულის დედოფლისა: მწუ-
ხრიდგან განთიადამდე ადგა მას ბრწყინვალე ნათელა, რომელმაც განა-
ნათლა გულისცა მრავალთა ურწმუნოთა. ამათ ხალხთა მოწმუნეთა უში-
შრად იცხეს დედოფლის სისხლი, ქრისტეს-თვის დათხუელი, და დათლეს
გვამი მისი მცირესა ეკლესიასა შინა, სადაც ემარხნენ ორნი მსკვლნი
წმიდისანი, ტყვეობაში გარდაცვლილნი. მოწამეობითა ღმერთსა და ვნე-
ბათა დედოფლისათა განაკვირვეს თვთ უცხოს სარწმუნოების კაცნიცა.
ლათინთა მღუდელთა, რომელნიც ამ უამად ჭსტხორებდნენ შირაში წარ-
მართთა მოსაქცეველად, დათარვით გამოიტანეს ეკლესიიდან გვამი მო-
წამისა და დიდის პატივით დაასვენეს თავთან სასახლის ეკლესიის ტრა-
პეზსა ზედა. ამიერიდგან მოწმუნენი მიიღებდნენ მრავალთა გურნებათა
ნაწილთა მისთაგან და თვთ ადგილისგანაცა, სადაცა წამეს ქრისტეს მო-
წამე.

გორის ქალაქში მეფეს მეფე თეიმურაზს მთავრებს ლათინთ მღუდელ-
თა რომელნიმე ნაწილნი გვამისაგან წმიდისა დედისა მისისა: თავი, მარ-
ჯვენე ხელი და ჩაოდენიმე შედედებული სისხლი. ხოლო რომელნიმე ნა-
წილნი ადრევე გაეგზავნათ ეგრობაში და აწცა და ცუფ-არჩან ბელდიის
ნამურის სობორში. განარებულმან მეფემ უბოძა დიდი საჩუქარი ლა-
თინთა მღუდელთა და ნება დართო გორში ცხოვრებისა; აქედგან დაი-
წყო მათი ქადაგება საზღვარითა შინა საქართველოსათა. თეიმურაზმან მო-
უწოდა ქათალიკოსს ზაქარიას, ყოველთა ეპისკოპოსთა და სრულის
გრებულთ მიეგება წმიდათა ნაწილთა დედოფლისათა; გორიდან ამავე
დიდებით და პატივისცემით წასვენა იგინი ალავერდის ეკლესიაში, და
სეკტემბრის ცამეტს, დღესა წმიდის ქეთევანის ქრისტეს-თვის წამებისა-
სა, დაასვენეს ტრაპეზსა ზედა ნაწილნი მისნი და ვიდრე აქამომდე ამა-
ვე რიცხვსა დღესასწაულობს ხსენებასა მისსა ეკლესიის ივერიისა. შემდეგ
ჩაოდენისამე უამის განკლისა მეფემან წარგზავნა შირაზად ეპისკოპოსი
ალავერდისა იოანე და ამან მოასვენა იქიდან დანაშთენნი ნაწილნი და
იგინიცა სხუათათანა დასდევს ქვეშე დიდისა ტრაპეზისა და განისვენებენ

მუნ კიდრე დღეინდელად-დღედმდე სიმტკიცედ და მოწარმედ საქართველოს ეკლესიასა.

აღაპრდის ეკლესიაში დათვლულ-არიან: მეფე ალექსანდრე თავის შვილით გიორგით, რომელი მოაკვლევინა ბრძოტმან კონსტანტინემ, და ამისგანვე მოკლული რუსთავის ეპისკოპოსი ჰაკლე; იოანე აღაპრდელი, დაკლული საკურთხეველში ლეკთაგან ჩუბ წელსა; ეპისკოპოსი იოანე, რომელმან მოასკენა შირაზიდამ ნაწილნი ქეთევანისა და ეპისკოპოსი ზენონ. აქვე მდებარებს ასტარბათიდგან მოსვენებული გვამი თეიმურაზ პირველისა თავისის შვილით დავითით; დედოფალი ანა, მეუღლე ირაკლი პირველისა; დედოფალი ანა, მეუღლე თეიმურაზ მეორისა; ირაკლის ქალი ელენე და თეიმურაზისა დედათ-მონღისანი მაკრინე, შემადგენელი საგალობლისა ჰატივად დასადიდებულად წმიდისა ათცამეტთაგანის იოსებ აღაპრდელისა. (*)

(*) გამოკრებულარს მარტირიკისაგან ანტონი ქათალიკოსისა და თხზულებისაგან მურავიევისა «საქართველო და სომხითი», ი. ს.

დღეს წმიდის მოციქულთა სწორისა ნინასსა. ()

მართლ-მდიდებულნი ქრისტიანნი! სახარულევანსა ამას დღეს ვაღუ-
სწაულობთ ხსენებასა ღირსისა დედისა ჩვენისა მოციქულთა სწორისა ქალ-
წულისა ნინა ქართველთა განმანათლებელისა. ღირსად საქებელ და მრავალ
ნაყოფიერ იყო ცხოვრება ამა ღირსისა დედისა ჩვენისა: ათორმე-
ტის წლისა მოუვანილ იქმნა იგი მშობელთაგან კაპადოკიით იერუსალიმ-
სა შინა. მამა მისი უაბულონი განეშორა კიდეთა იორდანისათა და შე-
ერთდა რიცხვსა წმიდათა მეუღახოეთასა; ხოლო იგი ნინა და დედაჲ
მისი—სუსანა დაშინენ განკარგულებასა ქვეშე ნათესავისა მათისა, იე-
რუსალიმის პატრიარქისა იუბენაღისასა. დედაჲ აღირაცხა დიაკონისსად,
ესე იგი—სამსახურებლად გლახაკთა და უძლურთა დედათა ტაძარს. ში-
ნა იერუსალიმისასა; ხოლო ნინა მიეცა სასწავლებლად ერთსა კეთილ-
მსახურსა დედაკაცსა, რომელსა ერქვა ნიანთორა; ხელთ-მძღვანელობასა
ქვეშე მისსა ნინამ ორს წელსა ესრეთ საფუძვლიანად ისწავლა განიხი-
ლად სწავლებისა და კეთილ-მსახურებისანი და ესრეთ მტკიცედ ახსოვდა
მოსესგან და სხუათა წინასწარ-მეტყველთა თქმულნი მესიისათვის-მხსენე-
ლისა კაცთა ნათესავისა, რომელ უკეთუ არა აღმატებოდა, მამა ეთანა-
სწორებოდა მანცა თვისსა მასწავლებელსა; გარნა უმეტეს ყოველთა სა-

(*) თქმული ბოღბის წმიდის ნინას სობოროში, 14 იანვარს 1862 წ.

კუთარი ყურად ღება მისი მიქცეულ იქმნა კვარისა ზედა ქრისტესსა. «სა-
და არს აწ ესე ქვეყნიერი ზოროფირი მისა ღმრთისა?» ჭკითხავდა იგი მას.
წაკლებელსა თვისსა—ნიანფორასსა. ამაჲ, ჩაოდენიცა უწყოდა, ამცნო ნინას,
რომელ აღმოსავლეთს არს მხარე, წოდებული ივერიად, სადაცა არს ქა-
ლაქი მცხეთა; მუნ წაღებულ იქმნაო კვართი უფლისა მხედრისა მიერ,
რომელიცა იყოო აქა დროსა ჯუარცმის იესო ქრისტესსაო. ამა მოთხრო-
ბამ ადაგზნო გულსა შინა ნინასსა აღებრივი სურვილი და აღძრა იგი,
რათა ჭზოგოს ძვირფასი სამოსელი ქრისტესი იგი დღე და ღამე აღ-
ვლენდა მხურვალეთა ვედრებათა ყოვლად-წმიდისა ქალწულისა ღმრთის-მშო-
ბელისადმი, რათა ღირს-ჭყოს იგი ხილვად იმა ქვეყნისა, სადაცა არს კვარ-
თი საყუარელის მისა მისისა, უფლისა იესო ქრისტესი. ყოვლად წმიდა
ქალწულმან ისმინა ვედრება მხეკლისა თვისისა, ძალსა შინა გამოეცხადა
მას და ჭრქუა: «წარვედ ივერიას მხარეს, ჭქადაგე შენ სახარება უფლისა
იესო ქრისტესი და ჭზოგო მადლი მის მიერ, მე ვიქმნება მოვარველ
შენდა»,—და მასთანავე მისცა მას ჯუარი, შეთხსული ვასასაგან. განი-
ღვიძა რა ძილისგან წმიდა ნინამ, და იხილა რა ხელთა შინა თვისთა
საკვირველი ჯუარი, ცრემლით ამბორს უყო მას, შეჭკრა თმითა თვისითა
და სახარულთ მიისწრაფა ზატრიარხისადმა, მიუთხრა მას საკვირველი
ხილუა და მოციქულობა თვისი. ზატრიარხმან აკურთხა იგი და გამოისტუმ-
რა შორიელს გზასა, და დასასრულ მოვიდა ქალაქსა შინა მცხეთას, რომ-
ლისა მცხოვრებნი იუვენ კერზთ- მსახურნი—არმაზისა და ზადენისნი.
აქა ნინამ იხილა საშინელი სახილველი: მცხეთელები შესწირვიდენ შვილ-
თა თვისთა მსხვერპლად ამა კერზთა; წინაშე ამა კერზთა იყო ფრიად ღრმა
ძორძო, სადაცა ენთო დიდი ცეცხლი, დედები შვილებს იგლეჯდნენ გულ-
თაგან და აგდებდნენ იმა ცეცხლში, და ყოველი ერი დიდის მოწიწებით
თაყვანის ჭსტემადა მათ. შეძრწუნებულმან ესრეთითა ხილვითა წმიდა ნინამ
აღიხილნა ზეტას და ილოცა,—და მსწრაფლ საშუალ მზინის დღისა იქ-
მნა საშინელი მეხისტება, ქუხილით და ელვითურთ თვით იმა ადგილზედ,
რადცა იდგნენ კერზები; მეხმა შემუსრა და დასწვა იგინი; ბომონნი მა-

თნი მტკრად გარდაქცია და ქარმან აღგავა ყოველი საკერზო სახმარი. მეფე მიჩიან და ერნი შეძრწუნებულთ გაიქცნენ; ერთი მხალოდ წმიდა ნინა მხიარულებით ხედიდა ამა გამოჩენასა მართლისა რისხვისა ღუთისასა. შემდგომ მან ჰქმნა მრავალნი სასწაულნი, რომელთა-მიერ მოიყვანა ქრისტეს საწმუნოებად მეფეცა მიჩიან სხლეულებითურთ მისით და ერიცა ქართუელთა; ზეცისა გამოცხადებითა ჰპოვა კვართი უფლისა ერთის ნაძვისა ქვეშე, ზეცობელი ხელთა შინა მკვდრისა ქალისა სიდონიანთა, რომელიცა იყო დაჲ ელიოზ ურიასი, მიმტანელისა მცხეთას კვართისა გოლგოთით. დასწრულნა რა ქართლში მოქცევა ერისა, წმიდა ნინა მოვიდა კახეთში, აქა მოაქცია დედოფალი სოფა ანუ სოფია და ერნი, და აღაშენა მრავალნი ეკკლესიანი, და მეტმე მშვიდობით მიიძინა უფლისად და დაფუძულ იქმნა წმიდა გვამი მისი ამა ტაძარსა შინა. აჴს მოკლე მოთხრობა წმიდის მოციქულთ-სწორისა ნინასა. ამა ღირსმა დედამ მოიღვაწა ღვაწლი კეთილი და მისთვისცა მიიღო ზეცისა სავანეთა შინა გვირგვინი დიდებისა.

ძმანო ჩემნო! წმიდა ეკკლესიას სხუათა შორის მისთვის ჰყოფს წლითი წლად მოხსენებასა წმიდათასა, რათა ვბადვიდეთ ჩვენ ღუთწლთა და სათნოებათა მათთა. ხალა რასა შინა უნდა ვბადვიდეთ ჩვენ წმიდა ნინასა ანუ რაჲ უნდა ვჰქმნათ, რათა მსგავს მისა შევიქმნეთ მონაწილენი ზეცისა დიდებისა და ზიარნი ქრისტესთანა?

წმიდა ნინამ ყოველივე დაუტევა და შეუდგა ქრისტესსა. ესრეთ უნდა ჰქმნას ყოველმან კაცმან, რომელსაცა სურს, რათა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანი. მან უნდა უარ-ჰყოს ყოველი, რათა ქრისტე შეიძინოს. გაჩნა რაგორ იქმნება ესა ამ დროში? იკითხვენ რომელნიმე. ძმანო! ნუ შეძრწუნდებით, არა რომელიმე წოდება, არა რომელიმე მდგომარეობა არ დაგვაბრკოლებს ჩვენ, რათა ვიყვნეთ საწმუნონი და ჭეშმარიტნი შემდგომნი ქრისტესნი. ჩვენ უნდა მოვიხმაროთ ქვეყნიერნი კეთილნი, სახარებისაებრ, რათა ივინი არა დააბრკოლებდნენ ჩვენსა სულიერსა ცხოვნებასა; ხალა ივინი ვერ დააბრკოლებენ ცხოვნებასა ჩვენსა მაშინ, როდესაც ჩვენ მოვიკვეთთ ნა-

მეტნავსა მიდრეკასა ქვეყნიერთა კეთილთადი და წამაწყედელოა ცოდ-
ვითთა სიამოვნებათა. სწავლისა-მებრ სანაჩებისა, არა სავიცხველ-არს კა-
ნონიერი მოხმარება ქვეყნიერთა კეთილთა, არამედ სავიცხველ არს ბო-
როტ მოხმარება მათი. «რომელსა უყვარდეს მამა ანუ დედა უფროს
ჩემსა,» იტყვის უფალი, «არა არს ჩემდა ღირს, და რომელსა უყვარდეს
ძე ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს. (მატ. 10, 34).
«ნუ გიყვარს სოფელი ესე, ნუცადა რაჲ არს სოფლისა ამის, უკეთუ ვისმე
უყვარდეს სოფელი ესე. არა არს სიყუარული მამისა მისთანა», იტყვის
წმიდა მანარებელი იოანე ღმრთის-მეტყველი. (1 იოან. 2, 15). ხოლო
ვისაც არ უყვარს სოფელი ესე და არცადა რაჲ არს სოფლისა ამის, მას,
რომელსა წოდებასაცა უნდა ეკუთვნოდეს იგი, ძალუმს ცხოვნებად.

გარნა ძმანო, როდესაც უარ-გჭყოთ კეთილთა ამა სოფლისათა, და
არ შეკვივარებთ მათ უმეტეს უფლისა, — ჩვენი მხოლოდ ვიწყებთ მაშინ
ღმარწლსა ცხოვნებისსა. ღირსმა დედამ ჩვენმა ნინამ მიიღო საუკუნო ნე-
ტარება მით, რომელ სათნო ეყოფოდა იგი ღმერთისა და ჭბამვიდა იგი
უწმიდესსა ქვეყნიერსა ცხოვრებასა მაცხოვრისასა. რათა მიკსწუდეო ჩვენ-
ცა ცხოვრებასა, ჩვენცა ეგრეთვე უნდა ვებაძვნეთ ცხოვრებითა ჩვენითა და
საქმითა უფალსა იესოს. ვითარ იყო ქვეყნიერი ცხოვრება უფლისა?
იესო ქრისტემ გვიჩვენა ჩვენ შოკის უსრულესი სახე ყოველთა სა-
თნობათა ყოვლისათჳს ჭსაკისა და მდგომარეობისა. მან გვიჩვენა ჩვენ
სახე სრულიადისა მინდობისა ზეცისა მამისადმი და სრულიადისა მიუღ-
ტოლველობისა ყოვლისადმი ქვეყნიერისა; მოგვცა მაგალითი სიმშვიდისა
მოქცევასა შინა კაცთადმი, უმანკობისა გრძნობათა შინა, სიტყუათა და
მოქმედებათა, სიმატლისა, გულ-ტკივნეველობისა უბადრუკთადმი, კეთილ-
მსურნეობისა ყოველთადმი, კეთილის ყოფისა თჳთ მტერთადმი; მოგ-
ვცა მაგალითი მოჩილებისა უმფროსთადმი, სიმდაბლისა წინაშე ყოველთა,
კეთილ-სულობითის მათმინებისა შეუწაცხებათა, სიმტკიცისა აღსარებასა
შინა სარწმუნოებისასა, სიმხნისა უბედურებათა შინა, მათმინებისა ტან-
ჯვათა შინა, მტკიცისა სასოებისა ღმერთსა ზედა თჳსთ სიკვდილსა შინა.

გამოვიხატეთ, ქრისტიანულ, გულთა და გონებათა შინა ჩვენთა ცხოვრება ქრისტეს მაცხოვრისა და გბამკიდეთ მას ყოველთა შინა საქმეთა და უოფა-ქტეკათა ჩვენთა. უკეთუ ვინმე აქჲს უფლებს სხვათა ზედა, მან წარმოიდგინოს უფალი, რომელიცა გარდამოხდა ზეცით არა მისთვის, რათა მისთვის ემსახურნათ კაცთა, არამედ რათა მას ემსახურნა კაცთათვის; უკეთუ ვინმე არს მონა, ანუ მისამსახურე სხუათა, მან წარმოიდგინოს, იესო ქრისტი, რომელმან მიიღო ხატი მონისა და მოჩიღ ექმნა მამასა ზეცისასა ვიდრე სიკუდილადმდე; მსჯულ არსა ვინმე?, ნუ გარდახდება იგი კანონთა სიმართლისათა, ნუ იქმნება ზირ-მოთხე, მსგავსად ქრისტესსა, რომელი არა თუალ ალებდა მსჯავრსა შინა; უკეთუ ვინ არს მეუღლეობასა შინა, ნუ დაივიწყებს იგი, რომელ უფალმან იქამდინ შეიუწარა სძალი თვისი-წმიდა ეკკლესია, რომელ მისთვის მისცა თავი თვისი. და სასრულ უკეთუ არს მდიდარი, იგი ნუ დაზოგავს სიმდიდრესა თვისსა ძმათა თვისთათვის, და მის მოქმედებათა შინა გამოიხატება სახიერება იესო ქრისტესი, რომელიცა კეთილ-უყოფდა ყოველთა. დასასრულ ქებულმა აწ ჩვენ მიერ წმიდა მოციქულთა სწორმა ნინამ მიღებისათვის დიდების გვირგვინისა დაითმინნა მრავალნი ნაკლულეკანებანი, ძვირის ხილუანი, ჭირნი, შიშროებანი გზათა ზედა იერუსალიმითგან მცხეთამდე. — ტყუთა და უდაბურთა ადგილთა შინა, მხეტთა და კაცთაგან, მათათა და აღელთა შინა და თვთ მცხეთას მიჩიან მეფისაგან, რომელიცა არა ერთგზის ექადა მას მოკულად. ეგრეთვე ყოველმა ჩვენგანმან, რომელსაცა ჭსურს ცხოვნება სულისა არ უნდა დაივიწყოს, რომელ ზეცისა სასუფეველსა შინა შევლენ მრავალთა ჭირითა და მწუხარებითა. მაცხოვარმან სთქუა: « რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლას, უარ-ჰყავს თავი თვისი და აღიღენ ჯუარი თვისი და შემომიდგინ მე ». ჯუარი ნიშნავს სხუა და სხუა გვართა მწუხარებათა, ტანჯუათა და უბედურებათა; ალება ჯუარისა ნიშნავს უდრტკინველად, კეთილ-სუფობით და მადლობით მითუალვასა მოვლენილთა ჩვენდა ღუთისა მიერ ჭირთა და უბედურებათა. ესრეთნი ჭირნი და მწუხარებანი საჭირო არიან მისაღებულად ზეცისა სასუფეველისა;

იგინი შიიუვანებენ სისრულეში ჩვენთა სათნაობათა და აღმოფხვრიან ჩვენ შორის ბიწიერებათა.

ესრეთ ძმანო! ცხორებითა ჩვენითა ვბაძვიდეთ ჩვენსა მეოხსა წინა-
შე ღუთისა-მოციქულთა სწოლსა ნინას, — ჩვენ ქართველთა განმანათლე-
ბელსა, რათა ჩვენცა მისებრ მოვიღოთ ზეციერნი კეთილნი; დაუტევოთ
სიუწარულთურთ თჳსით სოფელი და ყოველი რაჲ არს სოფელსა ში-
ნა, — გულის-თქმა ხორცთა და გულის-თქმა თჳსათა და სილადე ამის
ცხორებისა; ნაცვლად ხორციელისა ცხორებისა შევიუვაროთ ცხორება
სულიერი, რათა დღესა სასჯელისასა დარს ვიქმნეთ სმენად უფლისაგან
ნეტარისა ამის ხმისა: « მოკვდიოთ გურთხეულნო მამისა ჩემისანო, და და-
იპკვიდრეთ განმზადებული თქვენთჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლი-
სათ (მატ. 25, 34).

წმიდანო მოციქულთა სწოლო ნინა! ჩვენ ყოველთა გვსურის მიღება
ზეცისა სასუფეველისა; გარნა სიუწარული ამის სოფლისა და მისთა კე-
თილთა ხშირად ჭსძლევს გულთა შინა ჩვენთა სიუწარულსა ღუთისასა და
მისისა სჯულისასა; ამისთჳს მოვიუღტვიოთ შენდა კედრებით, განმანათ-
ლებულ ჩვენო, რომელი უკვე მისწუთი სურვილსა შენსა, დაგვადგინე
ჩვენ გზასა ზედა კეთილსა და შენითა ძლიერითა შუამდგომლობითა
წინაშე ღუთისა, გვიოხე მისგან საღმრთონიქმადნი, სახმარნი ცხოვ-
რებასა ამას და მომნიჭებულნი ზეცისა სასუფეველისა, რომელი განგვი-
ღო შენ მიერ ქადაგებულმა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან, რომელ-
სა ჭშუენას ყოველი დიდება პატრი და თაყუანის-ცემა თანა მამით და
სულთ წმიდითურთ აწ, და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მღწეული გრიგოლ დაშხარელი.

წიგნი რედაქტორთან.



მამა რედაქტორა!

თუმცა საქათველასა შინა იმეოთებოდენ და იმეოთებიან სწავლულსა და განათლებულნი გვაშნი, გარნა არა თავს იღვეს მათ ესე-გითარნი შრომა, ვითარცა თქუწნ, — მისთვის რომელ იგინი კითხულობდენ სხუა და სხუა ყუწნალებთა-რუსულს, ენაზედ დაბეჭდილთა, და საზოგადოებისათვის არა იზრუნვეს. მე გვგონებ, რომელ თქუწნცა არა თქუწნის გონებითა მიიღეთ ესე-გითარნი კეთილი შრომა, არამედ შთაგონებითა ყოვლად-წმიდისა ღუთის-მშობელისათა, რომელიცა არის საკუთარი მიჯნველი საქართველასა, ვითარცა წილად მისდა ხდომილისა ქუწენისა. მას აღმოუჩენიანთ, თქუწნ, ვითარცა ერთი საქართველას შვილთაგანი განსამრავლებელად ესე-გითარითა სულისა და გულის დამატებობელთა წერილებთა საცხოვრებელად სულისა ჩუწნისა და უმეტესად განსამტკიცებელად მართლ-მადიდებელისა საწმუნოებისა საქართველას ერთა შორის.

